პროექტის ფაქტები

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ტვინინგის პროექტი "საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაძლიერება"

განხორციელების ვადა: 21.01.2019 - 20.01.2021

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 399 638

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Bundesbeschaffung GmbH

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/publicprocurementgeorgia/

პროექტის ვებსაიტები: spa.ge

პროექტის აღწერა:

ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა ერთობლივი ძალებით ნერგავენ მდგრად და ყოვლისმომცველ საჯარო შესყიდვების სისტემის სისტემას, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობისა და კონკურენციის პრინციპების შესაბამისად. შემდგომ ფაზაში გადავიდა საქართველოს საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან ჰარმონიზაციის პროცესი, რაც გათვალისწინებულია ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით. სახელმწიფო შესყიდვები არის ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს საჯარო შესყიდვების ბაზარზე ურთიერთ წვდომას. საჯარო შესყიდვების ბაზრის გახსნა დაკავშირებულია საქართველოს საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის თანმიმდევრულ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან.
ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური დაძმობილების პროექტი ავსტრიელი და სლოვენიელი კოლეგების დახმარებით ხორციელდება. იგი საქართველოს ეხმარება გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების შესაბამისად განავითაროს სახელმწიფო საჯარო შესყიდვების სისტემა, გაზარდოს საჯარო შესყიდვების სისტემის კონკურენტუნარიანობა ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

მოსალოდნელი შედეგები:

- სახელმწიფო შეწყისვების სააგენტოს ინსტიტუციური და ადამიანური შესძლებლობების განვითარება ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოს შესაბამისად
- საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან
- ყველა საჭირო მექანიზმისა და საშუალების ჩამოყალიბება
- სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მხარეებს შორის ცნობიერებისა და პროფესიული უნარების გაზრდა
- ქვეყანაში მიმდინარე მსგავსი პროექტების ხელმძღვანელების მონაწილეობა კომისიის სულ მცირე ერთ შეხვედრაში
- მსგავსი პროექტების ხელმძღვანელების მონაწილეობა სულ მცირე ერთ საინფორმაციო შეხვედრაში
- პროექტის აქტივობებში ქალების სულ მცირე 40% ჩართულობა.